აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

5 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო სუბიექტის მოძრაობა ,,სამართლიანი საქართველოსთვის'' პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები : პარტიული სიის რიგით №9 ბერიძე ჯამბულ წარმაოდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევს, რომელსაც უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არ წარმოუდგენია უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტი. პარტიული სიის რიგით №16 აბუსელიძე მაია; №17 მსხალაძე ინგა; №19 კაკალაძე ჯაბა; №21 მახარაძე ჯაბა; №23 კომახიძე ჯაბა; №32 ლორთქიფანიძე თეონა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის არ წარმოადგენენ პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირებს. პარტიული სიის რიგით №29 ჩაჩუა-აბაშიძე ნელი იმავდროულად შეყვანილია უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანების ,,ახალი მემარჯვენეები'' პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს მისი თანხმობა ორივე პარტიულ სიაში შეყვანის თაობაზე, რის გამოც აღნიშნულ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს უარი უნდა ეთქვათ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო'' ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის შემდეგ კანდიდატებს: პარტიული სიის რიგით №9 ბერიძე ჯამბულ; №16 აბუსელიძე მაია; №17 მსხალაძე ინგა; №19 კაკალაძე ჯაბა; №21 მახარაძე ჯაბა; №23 კომახიძე ჯაბა; №29 ჩაჩუა-აბაშიძე ნელი; №32 ლორთქიფანიძე თეონა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე